ოქმი № 12

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის გაერთიანებული სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 23 დეკემბერი, 15 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **ზ.მამასახლისი, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.ნიჟარაძე, ე.არჩაია, ი.შენგელია, კ.გურული, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.სიმონიძე, პ.ლილუაშვილი.**

სულ: კომისიის 11 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, ბ. ბრეგაძე, გ.კილაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი **დ.ნიშნიანიძე.**

სხდომა გახსნა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ბ.მახარაძე, ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

/ბ.მახარაძე, ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

3. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, **ა.კოპალეიშვილმა სიტყვა გადასცა** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს **ბ.მახარაძეს:** „დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2022 წლის ბიუჯეტში შემავალი ცვლილელება, საკითხი დაგმოგზავნილი იყო და ალბათ გაეცანით. ასევე მინდა გითხრათ წინა წელთა შედარებით 2023 წლის ბიუჯეტს გაზრდილი პარამეტრით ვიწყებთ -

101 484.7 ათასი ლარით. ვთხოვოთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს პირველ საკითხად წარმოგვიდგინოს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია.

1. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის დ.ნიშნიანიძის ინფორმაცია 2022 წლის ბიუჯეტის მე-6 ცვლილების შესახებ: „მოგესალმებით და წარმოგიდგენთ 2022 წლის ბიუჯეტში ბოლო ცვლილებას. ჩვენ 2021 წლის 29 დეკემბერს დავამტკიცეთ 2022 წლის ბიუჯეტი N5 დადგენილებით. თავდაპირველ პარამეტრად განისაზღვრა 89876 ათასი ლარი. 2022 წლის ბიუჯეტში 1 იანვრიდან განხორციელდა 6 ცვლილება, რომლის შედეგად საბოლოოდ 89 876 ათასი ლარიდან გაიზარდა და დასუზტდა 129 893 ათას ლარამდე. თავადაც ხედავთ, რომ უმნიშვნელოვანესი ზრდა არის დამტკიცებულსა და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის. ცვლილებების შედეგად გაზრდილი ბიუჯეტის 90% დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. 2022 წელი ამ კუთხით იყო გამორჩეული წელი, ვინაიდან გაეროს განვითარების ფონდიდან გრანტის სახით მივიღეთ 26 მილიონი ლარი, რომლიც გაიხარჯა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. რაც შეეხება მეექვსე ცვლილებას, იგი განპირობებულია იმ მუხლობრივი ცვლილებებით, რაც მთელი წლის განმალობაში საბიუჯეტო კოდექსის შესაბადმისად, მერის ბრძანებით განისაზღვრება. გარდა ამისა, ჩვენ ვახდენთ მთავრობის კორექტიტებული განკარგულების საფუძველზე ბიუჯეტში თანხების შემცირებას, განკარგულების თანხის დონეზე, რაც ჩანს გამარტივებულ ფორმაში. ზრდა შეეხო მხოლოდ სკოლამდელი აღზრდის პროგრამას 380 ათასი ლარით. 5% ბრძანებების საფუძველზე, ცვლილებების ასახვით ბიუჯეტის დადგენილებაში. მე-6 ცვლილების შედეგად საბოლოო პარამეტრი განისაზღვრა და 2022 წლის ბიუჯეტს ვასრულებთ 129893 ათასი ლარით“ (მასალა ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ. სიმონიძე:** „რამდენით შემცირდა 2022 წლის ბიუჯეტი?“

დ.ნიშნიანიძე: „ჯამში შეცირდა 1992 ათასი ლარით და მივიღეთ 129 893 ათასი ლარი. ეს შემცირება განპირობებული მთავრობის ორი განკარგულებით, რაც ცხრილში არის წარმოდგენილი 2022 წლის 17 იანვრის N75, 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებებით“.

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „დაგვრჩა რამე აუთვისებელი“?

დ.ნიშნიანიძე: „არა. მხოლოდ ეკონომიებია, რომელიც ორი სახის შეიძლება იყოს: ღონისძიების თანხასა და ტენდერს შორის ეკონომია, მეორე - ხელშეკრულების თანხასა და ფაქტობრივად შესრუბულ სამუშაოს შორის. რაიმე აუთვისებელი თანხა არ დაგვჩენია, მოლოდ ეს არის წარმოშვებული ორ ეტაპინი ეკონომიების შედეგად და ამ თანხების შემცირება მოხდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე:** „საახალწლო დანამატების საკითხი როგორ გადაწყდა?“

დ. ნიშნიანიძე: „მერიისა და საკრებულოს სისტემაში არის 50%-ანი დანამატი“.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე:** „საკრებულოს წევრები თუ ღებულობენ?“

დ. ნიშნიანიძე: „პოლიტიკური თანამდებობის პირები: საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, მერი, მერის მოადგილეები ვერ აიღებენ დანამატს. ყველა სხვა თანამშრომლებს დაერიცხება 50% დანამატი და მათ შორის ააიპების ყველა თანამშრომლებს 40%-ანი დანამატი (აქ მხოლოდ ადმინისტრაცია არ იგულისხმება)".

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **პ. ლილუაშვილი:** „დანამატით გასაცემი თანხა ჩაიდო ბიუჯეტში თუ რაიმეს მოვაკელით?"

დ. ნიშნიანიძე: „ძირითადი ნაწილი არის ეკონომიები, ვისაც საკუთრი რესურსი გააჩნდა და მხოლოდ ბაღების აიპს დასჭირდა ჩვენგან მხარდაჭერა".

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **პ. ლილუაშვილი:** „მერიასა და საკრებულოს?"

დ. ნიშნიანიძე: „ჰქონდათ ეკონომიები და არც მუხლობრივი გადატანა არ იყო საჭირო თანხის. აიპებში განხორციელდა საქონელისა და მომსახურების მუხლიდან თანხის გადატანა".

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გ. ბასილაძე:** „მერიის, საკრებულოსა და აიპების დანამატებს შორის 10% სხვაობა თანხობრივად რამდენია?"

დ. ნიშნიანიძე: „შპს"-ებისა და აიპების სახელფასო ფონდი არის 3 400 ათასი, შესაბამიასდ 10% არის 340 ათასი".

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გ. ბასილაძე:** „კარგი იქნებოდა 50%-ანი დანამატი მიეღოთ ააიპების თანამშრომლებს, რომლებიც ნებისმიერ ამინდში ასრულებენ სამუშაოებს".

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „თუ მეტი კითხვა არ გვაქს კენჭი უყაროთ წარმოდგენილ საკითს".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 11, **წინააღმდეგი** - არც ერთი

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას 2022 წლის ბიუჯეტის მეექვსე ცვლილება.

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „დღის წესრიგის **მეორე საკითხად** წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი. როგორც მოგეხსენებათ, გასული თვის ჩვენი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე განვიხილეთ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტი, რომელიც დავუბრუნეთ მერიას გადასამუშავებლად. ახალი ვარიანტის მიხედვით ჩვენ მივიღეთ პოზიტიურად შეცვლილი და გაზრდილი ბიუჯეტი.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები თითქმის მთლიანად იქნა გათვალისწინებული და ასახული 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მეორე ვარიანტში, ანუ იმ ვარიანტში, რომელსაც დღეს ჩვენ ახლა ვიხილავთ.

კერძოდ, 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით იზრდება საგზაო ინფრასტრუქტურა და შეადგენს 3543.2 ათას ლარს, მშენებლობისა და ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 794.2 ათას ლარს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება-1823.8 ათას ლარს, საპროექტო სახარჯთაღრიცხო სამუშაოების პროგრამა - 418.3 ათას ლარს.

ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების დაფინანსება წინა წელთან შედარებით იზრდება და 1823 ათასი ლარს შეადგენს. მიგვაჩნია, რომ ეს პროგრამები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და

უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია და მათი დაფინანსება თითქმის გაორმაგდა წარმოდგენილ ბიუჯეტში;

საერთოდ არ იყო გათვალისწინებული თანხა სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის. წარმოდგენილ პროექტში იგი 259 ათას ლარს შეადგენს. ცენტრალური ბიუჯეტიდან დახმარების გამოყოფამდე მნიშვნელოვანია ჩვენ გვქონდეს განსაზღვრული თანხა ჩვენი მოქალაქეების მხარდასაჭერად;

ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული თანხა გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთებისათვის. ახალ დოკუმენტში იგი 1524 ათას ლარს შეადგენს, რომელიც სავარაუდოდ, წლის განმავლობაში, კიდევ გაიზრდება. ასევე საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობისათვისაც არ იყო დაფინანსება განსაზღვრული, რამაც ახალ ვარიანტში 567 ათასი ლარი შეადგინა.

სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის ჩასმული იყო 45 ათასი ლარი, რაც 2022 წლის მაჩვენებელს (700 ათასი ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. ახალი პარამეტრი 729 ათასი ლარია.

არ იყო გათვალისწინებული თანხები ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (ამჟამად განსაზღვრულია 4970 ათასი ლარი) და მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (ამჟამად განსაზღვრულია 1289 ათასი ლარი).

წინა ვარიანტთან შედარებით, 141,5 ათასი ლარით არის მომატებული დაფინანსება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელებისათვის და 741,5 ათას ლარს შეადგენს. (600 ათას ლას შეადგენდა)

ახალ ვარიანტში შესწორდა რედაქციული ხასიათის და სტრუქტურასთან დაკავშირებული შენიშვნები ააიპ-ებთან და შპს-ებთან მიმართებით".

ვთხოვთ ბატონ დავითს უფრო დეტალურად გაგვაცნოს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. მოისმინეს: მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის დ.ნიშნიანიძის ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ: „მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არ გვქონია შემთხვევა, რომ თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტი იყოს 100 მილიონიანი ნიშნულით. 2022 წლის ბიუჯეტის გეგმა დამტკიცდა 89 876 ათასი ლარით. ჩვენს მიერ ნოემბრის თვეში წარმომდგენილ ბიუჯეტის ვარიანტში უფრო ნაკლები იყო (86 მილიონი ლარი), ხოლო მიმდინარე წლის 10 დეკემბრის წარმოდგრნილ ვარიანტში შედაგენს 101 484.7 ათას ლარს. ეს გაზრდა განპირობებულია იმით, რომ დღგ-ის გეგმა გიზარდა 2 მილიონით, ჩვენ პრივატიზაციის გეგმა გავზარდეთ ნახევარი მილიონით (შვიდ ნახევარი იყო და 8 მილიონს ვგეგმავთ), ასევე საკუთარი თანხის ნაშთი (დაახლოებით ვიცით, რომ გვრჩება 5 მილიონამდე). ამ ნაშთის ფარგლებში თავისუფლად შეგვიძლია ნებისმიერი ხარჯის დაგეგმვა. გარდა ამისა, გარდამავალი პროეტების ნაწილი, რომელიც დაწყებული და თანხების ათვისება განხორციელდება 2023 წელს, წინასწარვე გავანაწილეთ როგორც ნაშთი 2023 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, მომდევნი წლის იანვრის თვეში, რომ მოითხოვოს შემსრულებელმა თანხის ანაზღაურება, ბიუჯეტში უკვე დაგეგმილია შემსრულებლითვის თანხის გაცემა, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის თანახმად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წელს ბიუჯეტს ვიწყებთ 101 484.7 ათას ლარით".

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე:** „თუ გაიზარდა სახელმწიფო ქონებიდან გაყიდვის შედეგად მუნიციპალიტეტში დასატოვებელი თანხების წილი და როდიდან შედის ეს ცვლილება?"

დ. ნიშნიანიძე: „დიახ გაიზარდა, 2023 წლის პირველი იანვრიდან შედის ძალაში".

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე:** „რამდენი რჩება?"

დ. ნიშნიანიძე: „ნახევრი რჩება მიწასთან მიმართებაში და შენობასთან მიმართებაში 70%".

კომისიის წევრი **კ.გურული:** „წარმოდგენილ ბიუჯეტში რამდენი პროცენტი არის განსაზღვრული სოციალურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე?"

დ. ნიშნიანიძე: სოციალური პროგრამებზე 7,9%, ინფრასტრუქტურულზე-25% ჯერჯერობით, მაგრამ 20 მილიონის დამატების შემდგემ 40%-მდე გაიზრდება".

კომისიის წევრი **კ. გურული:** „რამდენია ხელფასების წილი?

დ. ნიშნიანიძე: „სახელფასო 39 პროცენტია".

კომისიის წევრი **კ. გურული:** „თავისუფალი ინიციატივებში რამდენია და ვის აქვს წინადადების წარმოდგენის პრეროგატივა?".

დ. ნიშნიანიძე: „თავისუფალი ინიციატივებში თანხა 741,5 ათას ლარს შეადგენს. ძირითადი წინადადდები ადმინისტრაციულ ერთეულში იყრის თავს, მაგრამ ვრცლად ბატონი ბაქარ მახარაძე გაგცემთ პასუხს".

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „თავისფალ ინიციატივებთან დაკავშირებით თითოეულ ადმინისტრაციულზე გამოყოფილია 50 ათასი, სულ 12 ადმინისტრაციული ერთეულში 600 ათასი ლარი. ამჟამად გაიზრდა 114.5 ათასი ლარით თანხა, ეს განპირობებულია ძველი პროექტებით და დამატებით 2023 წელს გათვალისწინებული 600 ათასი, რათა მოქალაქეებმა წარმოადგინონ ის წინადადებები, რაც სასწრაფოდ არის მოსაწესრიგებელი მათ ადმინისტრაციულ ერთეულში. მაგალითის მინდა გითხრათ, რომ ბარნოვის ქუჩაზე ასავლელი კიბეების რეაბილიტაცია განხორციელდა".

კომისიის წევრი **ე. არჩაია:** „12 ადმინისტრაციული ერთეული გვაქვს და კარგი იქნებოდა მოქალაეებს შესაძლებლობა ქონოდათ მთლიანი ბიუჯეტის 3% თავად დაეგეგმათ".

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „ქ-ნო ელენორა, 3% შეადგენს 3 მილიონს. აღნიშნული თახა, რომ ჩავდოთ ამ მუხლში, შესაძლებელი ვერ მივიღოთ შედეგი, ვინაიდან არ იყოს ამ თანხის შესატყვისი ინფრატრუტურული პროექტების მოთხოვნა. შესაბამისად, ეს ციფრი განსაზღვრულია ადმინიტრაციულში შემოსული წერილობითი მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა გაანალიზებაც მოხდა და თანხა განისაზღვრა თავისუფალ ინიციატივებში".

კომისიის თავმჯდომარე **ა. კოპალეიშვილი:** „მეც მინდა დავამატო: ინფრასტრუქტურული კუთხით ჩვენ გვაქს ხსვადასხვა პროგრამები: ეზოს კეთილმოწყობა, ფასადის რეაბილიატაცია, გზის რეაბილიტაცია და ა.შ. ეს არის ის პროგრამები რომელზეც განსაზღვრულია თანხა ბიუჯეტში. თავისუფალი ინციატივების პროგრამა საშუალებას აძლევს მოსახლეობას განახორციელოს ისეთი პროექტები, რაც ჩვენი პროგრამების არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, წყაროს მოწყობა და სხვა".

კომისიის წევრი **ე.არჩაია.** „კახიაანოურის ადმინისტრაციულ ერთეულში უნდადათ სტადიონის რეაბილიტაცია“.

ა. კოპალეიშვილი: სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის შესაძლებელია. მოსახლეობას ნუ შევიყვანთ შეცდომაში. თავისუფალი ინიციატივებს პროგრამით შეიძლება განხორციელდეს ის პროექტები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამებით“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „კოლეგებო, 2 წლის უკან ეს პროგრამა საერთოდ არ იყო, მაგრამ პირველი რაც მოხდა, მოქალაქეებმა დაიწყეს განსაზღვრა, თუ რა არის მათთვის პრიორიტეტული. სწორედ ამიტომ განისაზღვრა თანხა 600 ათასი. 2023 წლის ბიუჯეტში განისაზღვრა 741,5 ათასი ლარი და შეიძლება კიდევ გაიზარდოს, მაგრამ ისეთი თანხის განსაზღვრა, რომლის ათვისებაც ვერ მოხდება, არ არის მიზანშეწონილი“.

კომისიის წევრი **კ. გურული:** სოციალურ პაკეტებში მრავალშვილიან დედებზე რაიმე კონკრეტული ხომ არ დაამატებთ? მაგ., როცა მე-6 შვილი შეეძინა ოჯახს რა დახმარებას აიღებს?

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „მე და ქ-ნ მარეხის, ქ-ნი მაგდა და ალბათ ქ-ნი ელეონორა შემოგვიერთდება, გვაქვს გარკვეული ინიციატივა საქართველოში დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე და რომ ვიკითხე მრავლშვილიან დედებზე რა დახმარებით სარგებლობენ, ვერ მივიღე სასურველი ინფორმაცია“.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე:** „სახელმწიფო პროგრამით 200 ლარი არის ეხმარება მრავალშვილიან დედებს მთაში, ხოლო ბარში 150 ლარით“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „ოთხ შვილს ზემოთ?“

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე:** „ოთხი და მეტი?“

კომისიის წევრი **ზ. მამასახლისი:** „ყოველთვიურად ერიცხებათ?“

დ. ნიშნიანიძე: „დიახ, ყოველთვიურად ერიცხებათ აღნიშნული თანხა“.

კომისიის წევრი **მ. სიმონიძე:** „ვინც არ არის სოციალურად დაუცველი, მათზეც ვრცელდება ეს დახმარება?“

კომისიის წევრი **ზ. მამასახლისი:** „დავუშვათ მსყავს ხუთი შვილი?“

დ. ნიშნიანიძე: „ხუთი შვილის შემთხვევაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ყოველთვიურად ეხმარება 4 და მეტ მრავალშვილიან ოჯახს თითოეულ შვილზე 30 ლარით, სოციალურად დაცველ ოჯახებს 40 ლარით“.

კომისიის წევრი **მ. სიმონიძე**: „მოდით სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელს ბატონ ვარლამ გობეჯიშვილს ვკითხოთ, იქნებ დავურეკოთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** სოციალური პროგრამიდან შარშან იყო ბიუჯეტში 60 ათასი ლარი განსაზღვრული მრავალშივლიანი ოჯახების ეკომომიკურად წახალისებისთვის. ეს პროგრამა 60 ათასი ლარით დარჩა“.

კომისიის წევრი **ზ.მამასახლისი:** „სტატისტიკა ან კრიტერიუმი როგორ არის?“

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „ზედა ზღვარი არის 5 ათასი ლარი და ამ თანხის ფარგლებში შეუძლიათ წარმოადგინონ მათი ინიციატივა და შემდგომ მოახდენს მუნიციპალიტეტი

მათ დაფინანსებას. აგრეთვე არის ბიუჯეტში პროგრამები „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“ (70 ათასი ლარი) და „ბავშვის განვითარების ხელშეწყობა“ (30 ათასი ლარი).

კომისიის წევრი **კ. გურული:** „მინდა შემოვიდე ინიციატივით, სოციალურ სამსახურს დავუტოვოთ თანხა მოქალაქეების იმ სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, რაც არ არის გათვალისწინებული სოციალური პროგრამებით, მაგალითისთვის მინდა გითხრათ, რომ ერთოთახიანი ე.წ. „ხრუშოვკა“ ბინაში ცხოვრობს მრავასულიანი ოჯახი (6 სული)“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ.მახარაძე:** „რომელ მოწყვლად ჯგუფს გულისხმობთ? შშმ პირებზე საუბრობთ?“

კომისიის წევრი **კ. გურული:** „არა მხოლოდ შშმ პირებზე მაქვს საუბარი“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „მოქალაქების იმ სოციალური პროლემების მოგვარებისათვის არსებობს გადაუდებელი რეაგირების პროგრამა, სადაც სპეციალური კომისია იღებს გადაწყვეტილებას მოქალაქის დახმარების საკითხთან დაკავშირებით. კომისიის შემადგენლობაში შედის სხვდასხვა არასმთავრობო ორგანზაციების წარმომადგენლები“.

კომისიის თავმჯდომარე **ზ. მახარაძე:** „ბატონო კობა თქვენ თუ შშმ პირებზე საუბრობთ, სოციალურ საკითხთა სამსახურს აქვს პროგრამა „შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება“, რომელიშიც 25 ათასია ჩადებული. ასევე არის სოციალურად დაუცველებთა დაკავშირებით მათი საცხოვრებელი სახლების „გადახურვის პროგრამა“ სოციალურად დაუცველებთან მიმართებში, ასევე არის გადაუდებელი რეაგირების პროგრამა, რომეშიც წინა წელს იყო 150 ათასი და ამჟამად თანხა გაზრდილია 200 ათასამდე. ეს პროგრამა მუშაობს იმ მოწყვლად ჯგუფზე, რომელსაც აქვთ სურვილი ფინანსური კრიზისი დაამარცხონ და ამისავთვის ხელშეწყობა ესაჭიროებათ.

სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **ვ. გობეჯიშვილი** (სატელეფონო ჩართვა)**:** „ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 70 000–მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში დახმარების დანიშვნამდე არანაკლებ ერთი წლისა. მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2022 წელს შეეძინებათ მე–4, მე–5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე–4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000

(ათასი) ლარის ოდენობით, მე–5 შვილის შემენისას – 1100 (ათასასი) ლარის ოდენობით, მე–6 შვილის შემენისას – 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე–7 შვილის შემენისას – 1300 (ათასსამასი) ლარის ოდენობით, მე–8, მე–9 და ა.შ. შვილის შემენისას – 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიან ოჯახებს, რომლეთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ 20 ლარის ოდენობით ელექტრო ენერგიის თანადაფინანსებას".

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. ნადირაძე**: „სახელმწიფო პროგრამით რამდენი ეძლევათ?"

ვ. გობეჯიშვილი: „სახელმწიფო პროგრამით სოციალური სააგენტო ურიცხავს მე-3 ბავშვის შემენის შემდგომ 150 ლარს თითეულ ბავშვზე".

კომისიის წევრი **მ. სიმონიძე**: „სოცაილურად დაუცველი უნდა იყვნენ?"

ვ. გობეჯიშვილი: „იმ მოწყვლად ჯგუფგში უნდა შედიოდეს ვისაც 120 ათამდე აქვს მინიჭებული ქულა".

კომისიის წევრი **კ. გურული:** „ბატონო ვარლამ. თუ მე-6 შვილი შეეძინა, შეუძლია თუ არა ისარგელოს მრავალვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით".

ვ. გობეჯიშვილი: „შეუძლია დაწეროს განცხადება, მაგრამ ჩვენ გვაქს კრიტერიუმი მეუღლეები მინიმუმ ერთი წელი რეგისტრირებული უნდა ქ.ქუთაისში".

კომისიის წევრი **კ. გურული:** „მეუღლე ბაღდათში არის რეგისტრებული. შეგვიძლია თუ არა რომ დავაყენოთ წინადადება, რომ ეს კრიტერიუმი გავაუქმოთ?"

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „მსჯელობა შეიძლება, მაგრამ მუნიციპალიტეტს ხომ აქვს თავისი ბიუჯეტი, ამიტომ სოციალურ საკითთან სამსახურმა უნდა მოამზადოს პროექტი, აღნიშნული კრიტერიუმის გაუქმებით რა შედეგს მივიღებთ".

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე: „**ინიციატივით შემოვდივარ, დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე, გაიზარდოს მრავალშვილიანთა დახმარების თანხა, რომ ცოტა უფრო ღირსეული იყოს. ასევე მეუღლეების რეაგისტრაციის საკითხიც, რომ გავიაროთ".

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** ტრანსპორტთან დაკავშირებით მინდა ვიკითხო, ტრანსპორტის კომპანიას თანხა გაეზარდა?

დ. ნიშნიანიძე: „ტრანსპორტის კომპანიას თანხა გაეზარდა 400 ათასით, ამჟამად შეადგენს 4 400 ათას ლარს".

კომისიის თავმჯდომარე **ბ. მახარაძე:** „თუ მეტი კითხვა არ გვაქს კენჭი უყაროთ წარმოდგენილ საკითს".

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** -9, **წინააღმდეგი** - არც ერთი, **თავი შეიკავა** -2

დაადგინეს: „მოწონებულ იქნას 2023 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი და წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად".

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**